ჟურნალის სარედაქციო კოლეგია ულოცავს ბატონ კარლო ღურწკაიას იუბილეს და უსურვებს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლესა და წარმატებებს პირად და პროფესიულ საქმიანობაში

პროფესორი კარლო ღურწკაია-75



ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიისა და ბიზნესის მართვის მიმართულების ხელმძღვანელი, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი – ასეთია მისი მოკლე ბიოგრაფია.

პროფ. კ. ღურწკაიამ დღემდე დიდი, მუხლჩაუხრელი მოღვაწეობის 75 წელი განვლო, რომელიც მან შრომით, ქართველი ახალგაზრდობისათვის მამულიშვილური თავდადებით და უანგარო მსახურებით გამოიარა.

იგი დაიბადა 1941წ. 15 აპრილს სამეგრელოს ერთ-ერთ გამორჩეულ და ლამაზ სოფელ რუხში, მდინარე ენგურის პირას, სადაც ბავშვობა და სიყრმის წლები გაატარა. 1959 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. ზუგდიდის V საშუალო სკოლა, 1966 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და 1980 წელს ილია ჭავჭავაძის სახ. თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი, გერმანული ენის სპეციალობით. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში მან თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა სტუდენტმა. უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ გამოცდებს წარმატებით აბარებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურაში. ამ პერიოდში ინსტიტუტის დირექტორი იყო აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი. ეს გამოჩენილი მეცნიერი საოცრად კარგ ატმოსფეროს ქმნიდა ინსტიტუტში ახალგაზრდა მეცნიერმუშაკებისა და ასპირანტებისათვის. ასპირანტურის დამთავრებისთანავე კარლო ღურწკაიამ

წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია 1970 წ.

1970 წლის თებერვლიდან ბატონი კარლო ღურწკაიას ცხოვრება და შემოქმედება უკავშირდება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, სადაც მუშაობა დაიწყო პოლიტიკური ეკონომიის კათედრის მასწავლებლად – 1974 წლიდან კათედრის უფროს მასწავლებლად, ხოლო 1976 წელს ირჩევენ დოცენტის თანამდებობაზე. ამ დროს კათედრაზე მუშაობდნენ ღვაწლმოსილი მეცნიერები,პროფესორები. ლ. ჩიქავა,რ. მელაძე, გ. სურმავა, ვ. კახეთელიძე, ე. კანდელაკი და სხვები, რომლებიც დიდი ძალა და მაგალითი იყვნენ ახალგაზრდა მეცნიერისათვის. პედაგოგიურ მუშაობას იგი წარმატებით უთავსებდა მეცნიერულ მოღვაწეობას, 1986წ. მოსკოვში გამოიცა მისი მონოგრაფია – „აგრარული შრომის ინდუსტრიულ შრომის ნაირსახეობად გადაქცევის პრობლემები“. 1985-1986 წლებში იგი მ. ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტია, ხოლო 1988 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

ამის შემდეგ იგი აგრძელებს ნაყოფიერ მუშაობას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრაზე, სადაც მას ირჩევენ ჯერ პროფესორის თანამდებობაზე, შემდეგ – კათედრის გამგედ.

წლების განმავლობაში ბატონი კარლო ღურწკაია იყო საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საუნივერსიტეტო ეკონომიკური განათლების მუდმივმოქმედი საბჭოს თავმჯდომარე, სადაც განიხილებოდა ეკონომიკური დისციპლინების განვითარების საკითხები და თანადროულობასთან შესაბამისობაში მათი მოყვანის პრობლემები.

კათედრა, რომელსაც ბატონი კარლო 1989 წლიდან ჩაუდგა სათავეში, ერთ-ერთი უდიდესი იყო ამიერკავკასიაში ამ პროფილის კათედრებს შორის (70-ზე მეტი შტატით) და, ცხადია, ასეთი კოლექტივის მართვა დიდ შრომას და პასუხისმგებლობას მოითხოვდა მისგან როგორც ხელმძღვანელისაგან. პროფ. კ. ღურწკაიამ ერთ-ერთმა პირველმა შექმნა საქართველოში გარდამავალი პერიოდის ადექვატური დამხმარე სახელმძღვანელო ეკონომიკურ თეორიაში, რომელმაც დროის გამოცდას გაუძლო.

გადიოდა წლები, გროვდებოდა გამოცდილება და კ.ღურწკაიამ 2001წ. ეკონომიკური თეორიის ახალი დამხმარე სახელმძღვანელო გამოსცა, რომლითაც ეკონომიკური თეორიის კურსს გადიან ამ თეორიის საწყისი კურსის შესწავლით დაინტერესებული მკითხველები. საერთო აღიარებით იგი ეხმიანება თანამედროვეობის მოთხოვნებს და სტუდენტი-ახალგაზრდობისა და დარგის სპეციალისტთა საერთო მოწონებას იმსახურებს. 2007 წელს გამოსცა სახელმძღვანელო „ეკონომიკის პრინციპები“, რომელიც გამიზნულია სტუდენტებისა და დაინტერესებული მკითხველებისათვის.

თანამედროვე მსოფლიოში ბიზნესმა უდიდეს წარმატებებს მიაღწია და მის გარეშე დღეს არაფერი არ წყდება. ამან განაპირობა ტექნიკურ უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის ჩამოყალიბება, რომელიც ახალგაზრდა სპეციალისტებს მოამზადებს ბიზნესის მომსახურე დარგებისათვის. სწორედ ამან შეაგულიანა ბატონი კარლო შეექმნა ლექციების კურსი „ბიზნესის საფუძვლები“ და გამოსცა იგი 2005 წ. დამხმარე სახელმძღვანელოს სახით, რომელსაც დღეს უამრავი სტუდენტი (და არა მხოლოდ ისინი) იყენებს როგორც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ასე მის გარეთაც.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ეკონომიკური სპეციალობების მრავალფეროვნებამ მოითხოვა ეკონომიკური დისციპლინების გაღრმავებული სწავლება. გამომდინარე აქედან, ისე როგორც მრავალ სხვა, ანალოგიური პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში, შემოღებულ იქნა მაკროეკონომიკის სასწავლო დისციპლინა, რომლის ლექციების კურსი ბატონმა კარლომ დაინტერესებულ მკითხველს 2007 წელს შესთავაზა, 40 ნაბეჭდი თაბახის მოცულობით. მკითხველები მალე მიიღებენ ბატონ კარლოს მიერ შექმნილ ლექციების კურსს „საერთაშორისო ბიზნესში“.

განსაკუთრებით დიდია პროფ. კ. ღურწკაიას ღვაწლი ქართული ეკონომიკური აზრის წინაშე, რამეთუ საბაზრო პრობლემატიკაზე მიძღვნილი დასავლური ყველაზე მნიშვნელოვანი ლიტერატურა, მან თავისი თარგმანებით გააცნო ქართველ მკითხველს. გვახსოვს პერიოდი, როდესაც ეს ლიტერატურა რუსულ ენაზეც კი იშვიათობა იყო პროფ კ.ღურწკაიას თარგმანითა და ძალისხმევით ქართულ ენაზე გამოიცა მსოფლიოში აღიარებული სახელმძღვანელო „ეკონომიკსი“ კ. მაკკონელისა და ს. ბრიუს რედაქტორობით.

ხოლო 1995-1997 წლებში მომზადდა და 1997 და 1998 წლებში ბატონ კარლო ღურწკაიას ძალისხმევით ქართულ ენაზე გამოიცა ს. ფიშერის, რ.დორნბუშის და რ.შმალენზის „ეკონომიკა“ ოთხ წიგნად (თითოეული 500-500 გვერდის მოცულობით). ამან, რა თქმა უნდა, დამატებითი სუნთქვა

შესძინა პირველ გამოცემას, რამეთუ თითოეული ეს სახელმძღვანელო, ცხადია, არ იმეორებს ერთმანეთს, არის განსხვავებული მიდგომები და ინტერპრეტაციები, რითაც თავისი წვლილი შეაქვთ ეკონომიკის განვითარებაში.

ამ თარგმანმა, როგორც იტყვიან, „სულზე მოგვისწრო“. მან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საბაზრო ეკონომიკის ტერმინოლოგიის დამკვიდრებას ქართულ სამეცნიერო სივრცეში. 1999-2000 წლებში მომზადდა და 2000 წელს ქართულ ენაზე გამოიცა პ. სამუელსონის და ვ. ნორდჰაუსის „ეკონომიკა“ ოთხ წიგნად (თითოეული 500-500 გვერდის მოცულობით). ეს სახელმძღვანელო, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და პოპულარულია და დღეს იგი ფართოდ გამოიყენება როგორც მიკროეკონომიკის, ისე მაკროეკონომიკის კურსის დამხმარე სახელმძღვანელოდ საქართველოს ყველა უნივერსიტეტსა თუ ინსტიტუტში და დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრე მისი მთარგმნელისა და გამომცემლის დიდი მადლიერია.

გარდა აღნიშნულისა, ბატონმა კარლომ კიდევ ერთი კარგი საქმე წამოიწყო, თარგმნა და ქართულ ენაზე 2006წ. გამოსცა უ. ბომოლის და ა. ბლაინდერის „ეკონომიკისის“ 1 ტომი (გამოდის სამ ტომად), მეორე ტომი თარგმნილია და მუშავდება, ხოლო მესამე ტომი თარგმნის პროცესშია.

დასავლეთის ამ აღიარებული ეკონომისტების ნაშრომების ქართულ ენაზე გამოცემის სახით ბატონმა კარლო ღურწკაიამ უდიდესი საქმე გააკეთა ქართულ ეკონომიკურ სივრცეში საბაზრო ეკონომიკის ტერმინოლოგიის დასამკვიდრებლად და ამ საკითხებში ქართველი ახალგაზრდობის მომზადების საქმეში.

ფასდაუდებელია პროფ. კ. ღურწკაიას მუშაობა სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდისა და მათთვის სამეცნიერო-კვლევითი ჩვევების გამომუშავებაში. იგი ყოველწლიურად მრავალ სტუდენტს ამზადებს სტუდენტთა და მაგისტრთა სამეცნიერო კონფერენციებისათვის. მას 50-ზე მეტი დოქტორი ჰყავს მომზადებული. მათ შორისაა ერთი უცხოელიც (ირანელი).

იგი დღესაც ახალგაზრდული შემართებით აგრძელებს თავის საყვარელ საქმიანობას მშობლიურ ტექნიკურ უნივერსიტეტში.

ვუსურვებთ ბატონ კარლოს, ჩვეული ენთუზიაზმით კიდევ დიდხანს ეღვაწოს ჩვენი ერის საკეთილდღეოდ.

რუსუდან ძუთათელაძე,
სტუ-ს ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი,
ევგენი ბარათაშვილი,
ემდ, პროფესორი,
სტუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი;
გიორგი მალაშხია,
ე.მ.დ. სტუ-ს პროფესორი,
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი;
პარმენ ლემონჯავა,
ე.მ.დ, სტუ-ს პროფესორი;
ანზორ აბრალავა,
ემდ, სტუ-ს პროფესორი;
რევაზ გოგოხია,
ე.მ.დ, ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ მთავარი რედაქტორი;
ვახტანგ დათაშვილი,
ჟურნალ „სოციალური ეკონომიკა XXI საუკუნის აქტუალური პრობლემების“ მთავარი რედაქტორი;
რეზო შენგელია,
ჟურნალ „ეკონომიკის“ მთავარი რედაქტორი.

ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ – XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები. რეგისტრირებულია თბილისის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მიერ. რეგისტრაციის №19181.
რედაქტორის ტელ.: 2-36-51-16; 2-36-43-78; 599-33-53-92.
web: socialuri-economica.bpengi.com; www.socialuri-economica.ge
e-mail: social_economica@mail.ru; socialuri-economica@bpengi.com

გადაეცა ასაწყობად 23.04.15.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.04.15.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 20.25

ტექნიკური რედაქტორი და კორექტორი: ნანა სახეჩიძე
სტილური რედაქტორი: ბადრი ცხადაძე
კორექტორები: თინა ცისკარიშვილი, ნანა ბოლქვაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა და დიზაინი: ზურაბ წერეთელი